

ერეკლე მეორეს საჩუქარი ბოდბელ ღმდელმთავრებს

თუ კი შემთხვევით გაეცნობით იმ ქსოვილების ნუსხას, რაც ერეკლე მეორემ საჩუქრად გაუგზავნა ბოდბელ მღვდელმთავრებს, უთუოდ გაოცდებით.

ერთი შეხედვით უბრალო წყარო, უამრავი ინფორმაციის მიღების საშუალებას გვაძლევს თუ კი მას დავუფიქრდებით, ჩავუღრმავდებით და კარგად გავაანალიზებთ. ირკვევა, რომ საქართველოს ისტორიაში ერთერთმა წარმატებულმა მეფემ ეკლესიას საჩუქრად გაუგზავნა შემდეგი ქსოვილები, სტიქაროსნებისა და მღვდელმთავრების სამოსის შესაკერად:

49 ადლი (სიგრძის ერთეული ძველ საქართველოში) ფრანგის თეთრი, 30 ადლი მუსჯირი, 4 ადლი ზურღუ(ჩაქსოვილი ატლასი), 2 ადლი სტამბოლის დაბა, 30 ადლი სალბის ატლასი, 3 ადლი სტამბოლის დაბა, 1 მწვანე ტოლნული, დარბაზთი(ძვირფასად ნაქსოვი აბრეშუმში, ოქრომკედით ნაკერი ფარჩა), ასევე 9 ადლი გაზიდულ და 2 განჯის ტოლნული. " ხის ჯამები შეიქმნა ოცდაათი თუმანი, ოცდათხუთმეტი შაური. ესენი სულ იაფად არის დაფასებული და არა ძვირად. ყოვლად სამღვდელოს ბოდბელს მიერთვას. რომელიც ენებებოდეს, სამღვდელო მთავრათ შეაკერვინოს, რომელიც უნდოდეს სამღვდელოთ, რომელიც უნდოდეს სადიაკვნო სტიხრათ ". ამ ქსოვილების სახეობები და მათი წარმომავლობა მიგვანიშნებს, რომ ამ პერიოდის საქართველოში კულტურული ცხოვრება საკმაოდ მაღალ დონეზე იყო და მეფე ერეკლეს დიდ ყურადღებას აქცევდა მის განვითარებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ ტიპის ქსოვილები, რომელიც ხელით არის გაკეთებული ვერც აირსებებდა, თუმცა ვხედავთ, რომ არათუ არსებობს არამედ ხშირად გამოიყენება კიდევ. ვახსენე ხელით ნაკეთი იშვიათი ქსოვილები, რაც მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ არსებობდა სპეციალური ადგილები, სადაც დასაქმებულნი იყვნენ ის ადამიანები რომლებიც ფლობდნენ ამ ხელოვნებას.

გარდა ამ უმნიშვნელოვანესი ფაქტებისა რაც წყაროდან გამოიკვეთა, აღსაღნიშნავია ასევე ამბის ალტერნატიული გარძელება თუ რა შეიძლება მომხდარიყო და როგორი შეიძლება ყოფილიყო ეკლესიის რეაქცია ერეკლე მეფის საჩუქარზე. ჩემი ღრმა რწმენით ეკლესია ამ საჩუქარს დიდი სიხარულით მიიღებდა და მადლობასაც გადაუხდებდა მეფეს. როგორც ამ წყაროდან ირკვევა მეფე ერეკლეს კარგი ურთიერთობა ჰქონდა ეკლესიასთან, რაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში გამოიხატა ბოდბელ მღვდელმთავრებთან გაგზავნილ საბოძვარში. ალბათ საქართველოს მაშინდელი წარმატებაც ამ მიდგომის შედეგი იყო.

დავუბრუნდეთ ისევ ქსოვილებს და ავღნიშნოთ ერთ მნიშვნელოვანი დეტალიც. დიდი ალბათობით ქსოვილების შექმნისას გამოყენებული უნდა ყოფილიყო შესაბამისი მასალა, რომელსაც როგორც ჩანს მოიპოვებდნენ ან ყიდულობდნენ რაც საკმაოდ საინტერესო სავარაუდო ფაქტია, ვინაიდან ამით მტკიცდება ის, რომ საქართველო შესაძლოა კონკრეტული ქვეყნებიდან გაცვლის ან ყიდვის მეთოდით მომხდარიყო. აგრეთვე ქსოვილების დამუშავებას რაღაც ტექნიკური საშუალებები უთუოდ დასჭირდებოდა, აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავუშვათ, რომ ამ დროს არსებობდა ქსოვილების დამამუშავებელი ხელსაწყოები ან "ტექნიკა", რაც ქვეყნის მაღალ განვითარებულობაზე მიუთითებს.

ამდენად, უკვე გამოიკვეთა ერეკლე მეორეს პორტრეტი, რომელიც ძირითადად ხასიათდება ეკლესიასთან ტოლერანტული დამოკიდებულებით და კულტურული ცხოვრების მაღალი განვითარების დონით. ეს იყო მაშინდელი საქართველოს წარმატების რეცეპტი.

მილოცვის ავტორი: გიორგი მორჩილაძე, ასაკი: 16 წელი. ლანჩხუთი - სოფ: აკეთის საჯარო სკოლის მე-11 კლასი.